

# ოქროს სამკერდე ნიშანზე





●

ქუთაისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების განყოფილებათა გამგეების შეკრება მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში. ეს ღონისძიება რესპუბლიკის კომკავშირულ მუშაკთა სემინარის პროგრამაში შედიოდა.

სემინარის საქმიანობაში 60 კაცი მონაწილეობდა და სარბიელზე ყველა მათგანი გამოვიდა. სანორმატივო ასპარეზობის პროგრამაში იყო 100 მეტრზე რბენა და სიგრძეზე ხტომა. ნორმატივები ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშანზე 12 კაცმა ჩააბარა.

100 მეტრზე რბენაში თავი გამოიჩინა ყაზბეგის კომკავშირის რაიკომის განყოფილების გამგემ გ. საბაურმა — 12,8. მანვე „ოქრო" მოიხვეჭა სიგრძეზე ხტომაში — 515 სმ.

რბენაში „ვერცხლის შედეგები" აჩვენეს ო. ქიბროწაშვილმა (ახმეტა) — 13,6, ა. ბარათაშვილმა (თეთრწყარო) — 13,7, ვ. აბდუშელიშვილმა (თეთრი წყარო) — 13,8.

სიგრძეზე ხტომაში ა. ბარათაშვილმა (490 სმ) და გულრიფშელმა ტ. შონიამ (476 სმ) ნორმატივები ვერცხლის სამკერდე ნიშანზე ჩააბარეს.

**ლ. ფაჩუაშვილი.**

* * *

**სურათებზე:** 100 მეტრზე რბენის მომენტი; გ. საბაური ასპარეზობის დროს.

ავტორის ფოტოები.

---

### თელავი

საინტერესოდ მიმდინარეობდა „ტყავის ბურთის" პრიზის გათამაშება რაიონის ნორჩ ფეხბურთელთა შორის. ორივე ასაკობრივ ჯგუფში თელავის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს.

**ნ. ოხანაშვილი.**

---

მოსკოვი, 18 ივლისი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მოასპარეზე კრასნოდარელმა ლიუდმილა ბრაგინამ ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა 1500 მეტრზე რბენაში — 4.06,9.

ამ შესანიშნავ შედეგს ბრაგინამ წინასწარ გარბენში მიაღწია.

## ლ. ბრაგინა: 1500 მ — 4.06,9


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 140 (4650)

1972 წ. 19 ივლისი, ოთხშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან


**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ჯ. ენუქიძე კიევიდან გვატყობინებს**

XII Всесоюзная спартакиада школьников Киев 1972

## მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

# ლენინგრადელთა კარგი სამსახური

ბოლო ტურის მატჩების წინ მესამე ქვეჯგუფში ფინალური ეტაპის ორადორი საგზურისთვის ფეხბურთელთა ოთხი გუნდი იბრძოდა — სომხეთის, საქართველოს, თურქმენეთისა და ლენინგრადის კოლექტივები. ბუნებრივია, მატჩები ერთობ საინტერესო გამოდგა.

თავდაპირველად გაიმართა თურქმენეთისა და ტაჯიკეთის გუნდების შეხვედრა. დაძაბულ და შეუპოვარ ბრძოლაში აუტსაიდერებმა — ტაჯიკეთის ფეხბურთელებმა ქულა წაართვეს ერთ-ერთ ლიდერს — 1:1.

მერე საქართველოსა და მოლდავეთის გუნდების მატჩი მოეწყო. შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა, მაგრამ თამაშის განახლების მერე, პირველივე წუთებზე, გ. გოგოლაშვილის კარგად ჩამოწოდებული ბურთი ვ. ხანიშვილმა მეტოქეთა კარში მოათავსა. რამდენიმე ხნის შემდეგ გ. კრავჩენკომ მეორედ აიღო მეტოქის კარი.

საქართველოს ფეხბურთელებს კიდევ ზევრჯერ ჰქონდათ ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში (2:0) აღარ შეცვლილა.

ეს მოგება საკმარისი იყო მხოლოდ იმისთვის, რომ ჩვენები ფინალში გასულიყვნენ. სომხეთისა და ლენინგრადის გუნდების შეხვედრას უნდა გაერკვია, საქართველოს ნაკრები 2 ოქროს ქულით შევიდოდა ფინალში თუ წაგებით. აქ ლენინგრადელებმა დიდებული სამსახური გაუწიეს თავიანთ თავსაც და ჩვენს გუნდსაც: დაამარცხეს სომხეთის ძლიერი კოლექტივი (1:0), ფინალში გავიდნენ და საქართველოს ფეხბურთელებს არასასურველი მეტოქე ჩამოაშორეს.

ამ ქვეჯგუფში საბოლოო ადგილები ასე განაწილდა: 1. საქართველო (7 ქულა), 2. ლენინგრადი (7), 3. სომხეთი (6), 4. თურქმენეთი (6), 5. მოლდავეთი (2), 6. ტაჯიკეთი (2).

საქართველოსა და ლენინგრადის ფეხბურთელებთან ერთად ფინალში გავიდნენ უკრაინის (2 ქულით), მოსკოვის (1), ლიტვისა (1) და რსფსრ-ს გუნდები. ფინალური ტურნირი 20 ივლისს დაიწყება.

ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელმა გოგონებმა ქვეჯგუფში ბოლო მატჩი მოიგეს და 2 ქულით ფინალში გავიდნენ. ბოლო შეხვედრაში მათ იოლად სძლიეს სომხეთის წარმომადგენლებს — 21:8 (8:3). ჩვენს გოგონებს მოსწავლეთა არც ერთ სპარტაკიადაში არ მოუპოვებიათ ასეთი წარმატება. ხელბურთი მოსწავლეთა სპარტაკიადების პროგრამაში 1965 წელს გამოჩნდა. ჩვენებმა მაშინ IX ადგილი დაიკავეს, მომდევნო ასპარეზობაში (1967 წ.) XI ადგილს დასჯერდნენ, ხოლო 1969 წელს ისევ IX ადგილზე იყვნენ. არ ვიცით, რა იქნება შემდეგ, მაგრამ ახლა კი ცხადია, რომ გოგონებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ. მართალია, ჩვენებმა დაამთავრეს ასპარეზობა, მაგრამ სხვა კოლექტივებს თითო მატჩი დარჩათ და ამ ქვეჯგუფიდან მეორე ფინალისტის ვინაობა მხოლოდ ამ შეხვედრების შემდეგ გაირკვევა.

ჩვენს ქვეჯგუფში ბელორუსიის გუნდმა დაამარცხა ყაზახეთის ნაკრები — 11:10. ახლა ბელორუსიის გუნდს სამი მატჩიდან 3 ქულა აქვს, სომხეთსა და ყაზახეთს — 2-2, მოლდავეთს — 1.

არც ჩვენი ჭაბუკები გამოსულან ურიგოდ — მოუგეს აზერბაიჯანის ძლიერ გუნდს — 20:17 (9:7). უკრაინის ნაკრებმა სძლია უზბეკეთის გუნდს — 22:12. ბოლო ტურის წინ ამ ქვეჯგუფში 6 ქულით ლიდერობს უკრაინის კოლექტივი. საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებს 4-4 ქულა აქვთ, პირველს — სამი თამაშიდან, მეორეს — ოთხიდან. უზბეკეთის გუნდმა 2 ქულა დააგროვა, ტაჯიკეთისამ — 0. საქართველოს ჭაბუკი ხელბურთელები ბოლო ტურში უზბეკეთის კოლექტივს შეხვდებიან.

დამთავრდა კალათბურთელთა წინასწარი ტურნირი. ბოლო მატჩები ჩვენმა ჭაბუკებმაც მოიგეს და გოგონებმაც. ჭაბუკებმა პირდაპირ ასტრონომიული ანგარიშით დაამარცხეს თურქმენეთის ნაკრები — 108:39 (59:12), ხოლო გოგონებმა ძალიან ძნელ ბრძოლაში სძლიეს ყირგიზეთის წარმომადგენლებს — 48:44 (32:21). ამრიგად, ჭაბუკებმა წინასწარი ტურნირი დაუმარცხებლად განვლეს, გოგონებმა კი ერთი მატჩი წააგეს.

საქართველოს გუნდების ქვეჯგუფებში დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: **ჭაბუკები.** მოლდავეთი — მოსკოვი 45:65, ესტონეთი — ლიტვა 65:61; **გოგონები.** მოლდავეთი — ბელორუსია 32:52, აზერბაიჯანი — მოსკოვი 54:75.

ფინალურ ექვსეულში გავიდნენ: საქართველოს, რსფსრ-ს, უკრაინის (თითო ქულით), ლატვიის, ბელორუსიისა და მოსკოვის ჭაბუკთა გუნდები. გოგონათა ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მოსკოვის, უკრაინის, რსფსრ-ს (თითო ქულით), საქართველოს, ლატვიისა და ლენინგრადის კოლექტივებმა.

ჩვენმა ჭაბუკმა ფრენბურთელებმა წაუგებლად დაამთავრეს წინასწარი ტურნირი. ბოლო მატჩი მათ თურქმენეთის ნაკრებს მოუგეს — 3:0 (16:14, 15:3, 15:7).

ამ ქვეჯგუფში დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: უკრაინა — ბელორუსია 3:1, ყაზახეთი — რსფსრ 1:3.

ჩვენმა გოგონებმა დაამარცხეს მოლდავეთის ნაკრები (3:0) და საბოლოოდ ქვეჯგუფში III ადგილი დაიკავეს. ახლა ისინი VII-XII ადგილებისთვის ითამაშებენ (აქ მათ მოსკოველებთან მოგება გადაჰყვათ).

ჭაბუკთა პირველ ექვსეულში არიან საქართველოს, მოსკოვის, ესტონეთის (თითო ქულა), ლენინგრადის, სომხეთისა და უკრაინის კოლექტივები.

მეოთხე ტურში საქართველოს მოჭადრაკეები ლენინგრადელებს შეხვდნენ და დაწინაურდნენ — 4:3 (ერთი პარტია გადაიდო). უკრაინა — აზერბაიჯანის შეხვედრაში ჯერჯერობით ანგარიშია 2:2 (4 პარტია გადადებულია). ტაჯიკეთის მოჭადრაკეებმა აგებენ ესტონელებთან — 1,5:4,5 (2).

ამ ქვეჯგუფში 4 ტურის შემდეგ ლიდერობენ საქართველოს წარმომადგენლები — 22 ქულა და 1 გადადებული პარტია. II ადგილზეა აზერბაიჯანი — 16,5 (6), III — ლენინგრადი — 16 (2), IV — უკრაინა — 15,5 (5) V — ესტონეთი — 11 (4), VI — ტაჯიკეთი — 5 (2). საქართველოს მოჭადრაკეებს წინასწარი ტურნირის ბოლო ტურში აზერბაიჯანის ნაკრებთან უწევთ თამაში.

* * *

როგორც ხედავთ, საქართველოს ხუთი კოლექტივი ფინალში გავიდა. ესენი არიან ფეხბურთელები, ხელბურთელი გოგონები, კალათბურთელი ჭაბუკები და გოგონები, ფრენბურთელი ჭაბუკები. ახლა გასარკვევია ხელბურთელ ჭაბუკთა გუნდისა და მოჭადრაკეთა ნაკრების ბედი. უნდა აღინიშნოს, რომ ფინალურ ექვსეულში მოხვედრის შანსი ორივე კოლექტივს აქვს. მაშ ასე, პირველი ეტაპი საქართველოს წარმომადგენლებმა წარმატებით განვლეს. ახლა ფინალური შეხვედრების ჯერი დგება.

18 ივლისი (ტელეფონით).

---

### ზესტაფონი

რაიონის საშუალო სკოლების მასწავლებელთა პირადგუნდური საჭადრაკო პირველობა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სიფზედა საქარის საშუალო სკოლის კოლექტივმა. ქალთა დაფებზე I ადგილი ხვდა ლ. კოტრიკაძეს (შორაპნის საშუალო სკოლა), ვაჟთა შორის — მარშანდელ ჩემპიონ გ. ნებიერიძეს (ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა).

**ა. გაჩეჩილაძე.**

### გურჯაანი

ველისციხის № 13 პროფტექნიკურ სასწავლებელში უყვართ ტურიზმი. ამას წინათ აქ ორდღიანი ლაშქრობა მოაწყვეს მარშრუტით: ველისციხე — გურჯაანი — თბილისის ზღვა — საგურამო — ზედაზენი — ველისციხე. საგურამოში მოლაშქრეებმა დაათვალიერეს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, მცხეთაში ნახეს სვეტიცხოვლის ტაძარი, ესტუმრნენ ცნობილ მებაღე მ. მამულაშვილს და შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ შინ, ველისციხეში.

**ა. ჯალაღანია,**
ფიზაღზრდის მასწავლებელი.

---

# ტრადიციის დაბადება

დაძაბული იყო ივნისის თვე თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" საქსოვი საამქროს მუშაკთათვის, მაგრამ გულმოდგინე შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. ამასთან, პირველივე თავისუფალ დღეს მქსოველებმა დაამტკიცეს, რომ, ვინც კარგად შრომობს, დასვენებაც კარგი უყვარს.

1 ივლისს დილაადრიან სამი დატვირთული ავტობუსი ბაზალეთის ტბისკენ გაემართა. ახალგაზრდა მუშები ჩასვლისთანავე რამდენიმე გუნდად დაიყვნენ და გაჩაღდა შეჯიბრებები ფრენბურთსა და ფეხბურთში. ცურვისა და თევზაობის მოყვარულები ტბისკენ გაეშურნენ, დანარჩენები ჭადრაკსა და შაშს მიუსხდნენ.

დაიწყო სპორტული ბანაკის ცხოვრება. მსაჯებმა და აქტივისტებმა მოხაზეს სექტორები ხელყუმბარის სატყორცნელად და ბირთვის საკვრელად. პირველმა სენსაციამაც არ დააგვიანა. კომბინატის პარტკომის მდივანმა რ. კაპანაძემ ორი რეკორდი დაამყარა: ბირთვი 10 მეტრსა და 15 სანტიმეტრზე ჰკრა, ხოლო ხელყუმბარა 60 მეტრს იქით ტყორცნა. ეს არავის გაკვირვებია: როლანდი გამოცდილი სპორტსმენია. მან „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ბევრი ნორმატივი ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა.

სტარტზე გამოვიდნენ საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ჯორბენაძე, პარტკომის მდივნის მოადგილე ნ. ქილიფთარი და სხვ. სულ ამ დღეს ნორმატივები 60-მდე კაცმა ჩააბარა.

დღის მეორე ნახევარში შეჯიბრებაში გამარჯვებულნი სპეციალური პრიზებითა და სიგელებით დააჯილდოვეს. ეს ცერემონია საზეიმოდ შეასრულა სპორტკლუბ „ივერიის" გამგეობის თავმჯდომარემ გ. ხიტურიძემ.

შეკრების მონაწილეებს მიესალმა კომბინატის დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჯოხარიძე, რომელმაც დამსწრეთ უსურვა წარმატებები შრომასა და სპორტში.

— ცალკეული საამქროებისა და განყოფილებების შეკრებები, რაც ახალი კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარების ბაზად იქცევა, ჩვენს კოლექტივში კეთილ ტრადიციად უნდა დავამკვიდროთ, — თქვა მან.

... დაღლილი, მზემოკიდებული და კმაყოფილი დაბრუნდნენ შინ ფიზკულტურელები, რათა მეორე დღეს ახალი ენერგიით შესდგომოდნენ შრომას.

**ბ. კოვალიოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა





პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადა

# სად არიან დრონოვას მეგობრები?

სპორტულ ტანვარჯიშში შეჯიბრება დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტის სასახლეში გაიმართა. მასპინძლობა კარგი იყო, მაგრამ სტუმრებმა — შეჯიბრების მონაწილეებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. განსაკუთრებით ვაჟებს უნდა ვუსაყვედუროთ, რომელთაგანაც სპორტის ოსტატის ნორმატივი ვერავინ შეასრულა. უფრო მეტიც, სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის მრავალჭიდში გამარჯვებულმა ყ. ღუდუშაურმა („უნივერსიტეტი") 100 ქულაც კი ვერ მოაგროვა და ჩემპიონობა 98,95 ქულით მიიღო. მეორე პრიზიორმა ე. სამხარაძემ („სინათლე") 96,95 ქულა დააგროვა, III ადგილზე გასულმა ნ. ფახულიამ (უნივერსიტეტი) კი 80,4.

ამ მხრივ ვაჟებს ქალები სჯობდნენ, თუმცა ბევრით ვერც ისინი დაიტრაბახებენ: სპორტის ოსტატის ორი მაჩვენებელი დიდი ვერაფერი მოსავალია. მართალია, სპორტკლუბ „განთიადის" გუნდის ლიდერი — სსრ კავშირის ნაკრების წევრი ნ. დრონოვა ავადმყოფობის გამო შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა, მაგრამ სპორტკლუბ „განთიადის" სპორტსკოლაში განა მარტო დრონოვა აღიზარდა? მართალია, „განთიადის" ქალთა გუნდმაც (236,888 ქულა) პირველობა მოიპოვა და ამ კოლექტივის წევრმა გ. კაზიევამ სპორტის ოსტატთა პროგრამით მრავალჭიდშიც გაიმარჯვა (72,5), მაგრამ ამ სახეობაში „განთიადისგან" მეტს ველოდით. დიმიტროველი ტანმოვარჯიშეების ერთგვარი ჩამორჩენა ვაჟთა ტურნირმა უფრო ნათლად დაადასტურა. „განთიადის" ვაჟებმა პირველი ჯგუფის კოლექტივებში 84,755 ქულით ბოლო, IV ადგილი დაიკავეს, უნივერსიტეტის გუნდმა კი, რომელსაც თავის მხრივ დიდი ქება არ დაუმსახურებია, 299,983 ქულით გაიმარჯვა და 0,932 ქულით აჯობა „ელმავალს".

პოზიციები დათმო „სინათლემაც". ამ ერთ დროს უძლიერეს კოლექტივში, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონიც იყო, ახლა სპორტული ტანვარჯიშის საქმე არც ისე კარგადაა. „სინათლის" ვაჟებმა III ადგილი (105,33 ქულა) დაიკავეს, ქალებმა კი IV (145,901).

ტექნიკუმების ჯგუფში მხოლოდ თბილისის მანქანათმშენებლობის (სპორტკლუბი „ისინდი") და პოლიტექნიკური („მშენებელი") ტექნიკუმების კოლექტივები გამოდიოდნენ. ვაჟებში 270,274 ქულით გაიმარჯვა „მშენებელმა", ქალებში კი „ისინდმა" — 193,176.

ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტკლუბების გუნდების პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაში სასპარეზოდ „განთიადის" გუნდში, როგორც საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგემ ი. ბოჭორიძემ გვითხრა, დრონოვაც იასპარეზებს. ეს იქნება ხელის ტრავმის შემდეგ მისი პირველი დიდი გამოცდა სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის წევრის სახელის მოსაპოვებლად.

• • •

სხვა ტექნიკური შედეგები:

**ქალები. სპორტის ოსტატთა პროგრამა.** ვ. კაზიევა („განთიადი")—72,5, გ. ლიპარტიანი („სინათლე") — 72,45, ლ. პოდსტავკინა („ისინდი") — 70,45. **ოსტატობის კანდიდატთა პროგრამა.** ნ. ზუბიევა — 66,15, ქ. ბაგიევა (ორივე — „ელმავალი") — 64,9, მ. ყიფიანი („ისინდი") — 64,75. **I თანრიგის პროგრამით** მოასპარეზეებში გაიმარჯვა გ. გათენდაშვილმა („მშენებელი") — 64,45.

**ვაჟები. სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამა.** ზ. შიუკაშვილი (უნივერსიტეტი) — 100,25, გ. სიამაშვილი („მშენებელი") — 97,1, ე. ჯაიანი („ელმავალი") — 95,65. **I თანრიგის პროგრამით** შეჯიბრებაში ყველას აჯობა ლ. ვერეცკიმ („ელმავალი") — 99,35.

**რ. მაღრაძე.**

# ტალღებთან მებრძოლნი

საბჭოთა კავშირის პირადი შეჯიბრება სანიჩბოსნო სლალომში კვლავ ქუთაისში, მდინარე რიონზე ჩატარდა. ასპარეზობის პირველ დღეს მონაწილეები (მოსკოვის, ლენინგრადის, ლატვიის, რსფსრ-ს, ტაჯიკეთის, საქართველოს სპორტსმენები) ტრასას ეცნობოდნენ, მეორე დღეს კი ორი დაშვება მოეწყო.

პირველ საფინალო გაცურვაში ერთადგილიანი ბაიდარებით საუკეთესო დრო აჩვენა და ნაკლები საჯარიმო ქულა მიიღო მცხეთელმა ვ. როსტიაშვილმა. მომდევნო ადგილები ლატვიელებმა ი. ზარიშმა და მ. ლაიდინშმა დაიკავეს. მცხეთელი სპორტის ოსტატი ო. მარეხაშვილი მეოთხე იყო.

ქალთა შორის მოსკოველი ნ. ბარსუკოვა დაწინაურდა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელ ა. დემიანენკოს (რუსთავი) მეხუთე შედეგი ჰქონდა.

ერთადგილიანი კანოეებით ბრძოლაში დაწინაურდა მოსკოველი სპორტის ოსტატი ნ. კოროლიოვი, რომელმაც ლენინგრადელი ვ. სტროგანოვი და რიგელი კ. იანსონი ბევრად ჩამოიტოვა.

ორადგილიანი კანოეებით რბოლაში ტოლი არ ჰყავდა ლენინგრადელთა დუეტს ოსტატების ი. კულოვისა და ვ. ლუტვინსკის შემადგენლობით. II ადგილზე რიგელი ძმები რ. და ა. კრუზნეები არიან. III — ლენინგრადელები ვ. ტაბაჩნიკოვი და ი. სმირნოვი.

საღამოს ასპარეზობა გაიმართა მეორე დაშვებაში, რომელსაც საბოლოო ადგილები უნდა გაენაწილებინა.

ვაჟთა შორის ბაიდარებით ტურნირში ცვლილება არ მომხდარა. I ადგილი დაიკავა როსტიაშვილმა, II — ზარიშმა, III — ლაიდინშმა. სამაგიეროდ, ქალთა შორის ბევრი რამ შეიცვალა. წყვავე ბრძოლაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატმა, 18 წლის დემიანენკომ. იგი ძალიან კარგად დაეშვა და მხოლოდ მე-16 კართან 10 ქულით დაჯარიმდა.

II ადგილი რიგელმა ტ. კონოვალოვამ დაიკავა. ლიდერი — ბარსუკოვა III ადგილს დასჯერდა.

უძლიერესთა შეჯიბრებაში მხოლოდ სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდის წევრები — მცხეთელი გ. ნასყიდაშვილი და რიგელი ბ. ხერცოვა-ხეიცბერგა არ მონაწილეობდნენ. ისინი მიუნხენს გაემგზავრნენ ოლიმპიური ტრასის გასაცნობად.

მეორე ცდამ ცვლილებები კანოეებით მოასპარეზეთა ტურნირშიც შეიტანა. ერთადგილიანებით შეჯიბრებაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, მოსკოველმა ნ. შამტიუკოვმა. შარშანდელი შეჯიბრების პირველი პრიზიორი კოროლიოვი II ადგილს დასჯერდა, ა. კუზმინმა (ლატვია) კი III ადგილი დაისაკუთრა. IV ადგილზეა მცხეთელი ტ. გაბრიელიანი. მისი თანაგუნდელი ი. ამეტოვი VII ადგილზე გავიდა.

ორადგილიანი კანოეებით რბოლაში ძმებმა კრუზნეებმა II ადგილიდან პირველზე გადაინაცვლეს. II ადგილზე ტაბაჩნიკოვი და სმირნოვი გავიდნენ, III — ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები, მცხეთელი ს. არეშოვი და რუსთაველი ვ. იურჩენკო.

შეჯიბრების დროს ქროდა ძლიერი ქარი, რაც ნიჩბოსნებს ხელს უშლიდა კართა დაძლევაში.

ხარვეზები იყო მსაჯობაში: კონტროლიორები დარღვევებს წესიერად არ აღრიცხავდნენ, რაც სამართლიანად აღნიშნა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ა. არხანგელსკიმ (თბილისი).

სხვა მხრივ შეჯიბრება კარგად იყო მოწყობილი. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო ქუთაისის ფიზკულტურის კომიტეტის თანამშრომლების ე. კერესელიძის (დისტანციის უფროსი), შ. მალაფერიძის, ა. ფხაკაძისა და კომიტეტის თავმჯდომარის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ლ. ახვლედიანის მონდომებამ.

**ლ. ხეცურიანი.**

**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ქუთაისი.

• • •

**სურათებზე:** ა. დემიანენკო (მარცხნივ) და ვ. როსტიაშვილი შეჯიბრების დროს.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტოები.

# 3120 მანეთი!

10 ივლისს მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-19 ტირაჟი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მომგებიანი გამოდგა შემდეგი ციფრები: 3 (აკრობატიკა), 18 (რიკაობა), 34 (ხელბურთი), 37 (ტყვიის სროლა), 43 (ფარიკაობა), 44 (ფიგურული ციგურაობა).

„სპორტლოტოს", როგორც ყველა სპორტულ შეჯიბრებას, თავისი რეკორდები აქვს და რეკორდსმენებიც ჰყავს. გარკვეულ დრომდე ჩვენი რესპუბლიკის რეკორდი ეკუთვნოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის მუშაკს ბ. რუხაძეს. ამ თვის დამდეგს თბილისის ელექტროტექნიკური კვლევითი ინსტიტუტის მუშაკთა ჯგუფმა კოლექტიურ თამაშში მოიგო 2913 მანეთი. ეს საქართველოს რეკორდია.

ახლა კი ცნობა, რომელიც გუშინწინ მოსკოვიდან მივიღეთ: ხუთი ციფრი სწორად ამოიცნო და 3120 მანეთი მოიგო „თბილგაზის" მთავარი სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ზ. შენგელიამ. ესეც საქართველოს რეკორდია.

მე-19 ტირაჟის დანარჩენი მოგებები: ოთხ სწორად გადახაზულ ნომერს ხვდა 69-69 მანეთი მოგება, სამს — 3-3 მანეთი.

**ი. ლოპატკინი,**
**„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს მუშაკი.**

„ფერს შეუძლია ჩვენი დაწყნარება ან აღელვება, გამხიარულება და დაღონება..."

გოეთე.

# ფერი ჩვენს

საუკუნეების განმავლობაში თავისი დროის ბევრი დიდი მოაზროვნე სწავლობდა ფერებს. ი. ნიუტონის, მ. ლომონოსოვის, დ. იუნგისა და სხვა მეცნიერების ხანგრძლივი კვლევის შედეგად დადგინდა ფერთა გაგების თანამედროვე თეორია.

ამჟამად აღიარებულია სამი ძირითადი ფერი. წითელი, მწვანე და ლურჯი. ამ ფერების სხვადასხვა პროპორციით შერევისას მიიღება სხვა დანარჩენი ფერები. ყველა ფერს თავისი გარკვეული სიგრძის ელექტრომაგნიტური ტალღა აქვს, რომელსაც ბუნებაში სინათლის სპექტრი წარმოქმნის.

ფერებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: ქრომატულ (წითელი, ნარინჯისფერი, მწვანე, ცისფერი) და აქრომატულ (შავი, ნაცრისფერი, თეთრი) ფერებად.

არც ისე დიდი ხანია, რაც ადამიანზე ფერის ზემოქმედების პრაქტიკული გამოყენება დაიწყო. დღეს მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში შექმნილია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ტექნიკური ესთეტიკის ცენტრები, სადაც მუშავდება საწარმო-დაწესებულებების, საცხოვრებელი სახლების, საწარმოო იარაღებისა და ინტერიერების გაფორმების ოპტიმალური ნორმები.

შეიქმნა მეცნიერების ახალი დარგი — საინჟინრო ფსიქოლოგია.

ამა თუ იმ ფერის ავკარგიანობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ობიექტის დანიშნულება, გარემო, ფართობი, ფონი, განათება და სხვა ფაქტორები.

მაინც რა მნიშვნელობა აქვს ფერად მხედველობას?

დღეს წარმოუდგენელია მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების არსებობა ფერადი მხედველობის გარეშე. ერთი წუთით წარმოიდგინეთ მხატვარი, რომელიც ფერებს ვერ არჩევს, ან ფეიქარი, მეფოლადე, ექიმი-ბაქტერიოლოგი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი, მემანქანე... ამჟამად უდიდესი ყურადღება ეთმობა ფერების გამოყენებას მრეწველობაში, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ფერს შეუძლია ადამიანში სითბოს ან სიცივის შეგრძნება გამოიწვიოს. მაგალითად, სამრეცხაოს ლურჯად შეღებვის შედეგად, მუშების თქმით, სიცხის შეგრძნება საგრძნობლად მცირდება. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მწვანე ფერს ხმაურის შესამცირებლად იყენებენ, ხოლო ცისფერს — მოძრაობის ასაჩქარებლად. მწვანე ფერის ქაღალდზე მოსწავლეთა პასუხები 21,3 პროცენტით უკეთესი იყო, ხოლო წითელზე 19 პროცენტით ნაკლები, ვიდრე თეთრ ქაღალდზე.

მწვანე შუქი აძლიერებს კუჭის მოქმედებას, ამცირებს თვალის წნევას. ყვითელი ფერი ყველა ფერზე შორს მოჩანს (ასეთ შუქამდე, იმ დროს, როცა წითელი ფერი მხოლოდ 1000 მეტრამდე ჩანს). სწორედ ამიტომაა, რომ საგზაო ნიშნებში ძირითადად ეს ფერია გამოყენებული.

წითელ ფერზე 10 პროცენტით ქვეითდება საგნის სიმძიმისა და მოცულობის განსაზღვრის უნარი.

მაგალითების მოყვანა კიდევ და კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ერთი რამ ისედაც უდავოა: ფერს უდიდესი ზემოქმედების უნარი შესწევს.

სამწუხაროდ, ამ მხრივ სპორტში თითქმის არაფერი კეთდება. სპორტულ დარბაზებში თუ მოედნებზე, სტადიონებსა თუ საცურაო აუზებზე ფერებს საგანგებოდ არ არჩევენ. ტანვარჯიშის დარბაზებში ნახავთ შავ ლეიბებს, მუქ ყავისფერ იატაკს და აჭრელებულ ხალიჩას, სპორტული თამაშების დარბაზებში — სინათლეზე მოლაპლაპე მყვირალა ფერებს.

სავარჯიშო იარაღების, ინვენტარის, გასახდელებისა და ინტერიერების შემთხვევითი ფერებით შეღებვა, ესთეტიკურ მხარეზე რომ არაფერი ვთქვათ, უარყოფით ფსიქოფიზიოლოგიურ გავლენას ახდენს სპორტსმენებზე.

ამავე დროს, სწორად შერჩეულ ფერებს წმინდა პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მაგალითად, თეთრი ფერის სინათლის არეკვლის კოეფიციენტი 65-86 პროცენტია, ყვითლისა — 45-60, მწვანისა — 15-40, ცისფრისა — 10-25 პროცენტი... ესე იგი, რაც მეტია სინათლის არეკვლა, მით უკეთესია განათება.

ჩვენი დაკვირვებების შედეგად მიღებული პირველივე დასკვნები საგულისხმოა. მაგალითად, კალათბურთელთა დიდი ნაწილი წითლად შეღებილ იატაკზე უფრო მაღლა ხტება, ვიდრე ცისფერზე. სამაგიეროდ, ცისფერზე ყურადღების კონცენტრაცია უკეთესია.

მწვანე ხალიჩის მუქი ნაცრისფერით შეცვლამ მნიშვნელოვნად დააქვეითა ტანმოვარჯიშეთა შრომისუნარიანობა და ემოციები. ტანმოვარჯიშეთა სუბიექტური შეგრძნებით, რთული აკრობატული ილეთების შესრულებისას მუქი ხალიჩა მათში შიშის გრძნობას იწვევს. იგივე ტანმოვარჯიშეთა გამორბენის სიჩქარე ბჯენით ხტომის დროს შავი ხარ-

# სასამართლო მოდის!

სასამართლოს წინაშე ორი ახალგაზრდა დგას: სპორტის ოსტატობის კანდიდატი კლასიკურ ჭიდაობაში გურამ ბებიაშვილი და რობერტ კვიცინაძე: თავი ჩაუქინდრავთ და სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის ადელინა ხონიაკინას კითხვებზე უგერგილოდ იძლევიან პასუხს. ზოგჯერ იქედნურადაც ჩაიცინებენ და თვალს ხალხით სავსე დარბაზისკენ გააპარებენ, მაგრამ როგორც კი რისხვით ანთებულ სახეებს შეხედავენ, მყისვე უქარწყლდებათ მოჩვენებითი სიმხნევე.

მკითხველს ალბათ ახსოვს საყოველთაო აღშფოთება, როდესაც ამ ორმა „ყოჩაღმა ყმაწვილმა" სიცოცხლეს გამოასალმა აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ალექსანდრე გამყრელიძე.

სანამ ისევ გურამ ბებიაშვილისა და რობერტ კვიცინაძის ამ შემზარავ დანაშაულს დავუბრუნდებოდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში ბოროტების წყარო ლოთობაა. უხეშობა, ცინიზმი, უხამსობა, რასაც შემდეგ მძიმე დანაშაული მოსდევს, ხშირად ლოთობიდან გამომდინარეობს. ამიტომაც იყო, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღო დადგენილება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ".

რატომ აღმოჩნდნენ ბებიაშვილი და კვიცინაძე საბრალდებულო სკამზე?

...შუადღეა. გურამ ბებიაშვილმა და რობერტ კვიცინაძემ უკვე მოასწრეს გადაკვრა და შეზარხოშებულნი ხმამაღალი ლაპარაკით დაუყვნენ გზას კოლმეურნეობის მოედნისკენ.

— ტყუილად კი არ უთქვამთ, ღვინის წამალი ღვინოაო. მერე ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, კლდეს დავფშვნი. ამ მუშტს ხომ ხედავ, ერთი დარტყმით ხარს ძირს დავცემ, — ბებიაშვილმა მუშტი ჰაერში შემართა და მერე ფრთხილად დაუშვა მეგობრის მხარზე.

— ღვინომ თქვა ჭიჭინაურმა: უცებლოდ წამოვდუღდები, ჭკუიან კაცთან ბრძენი ვარ, გიჟ კაცთან წამოვგიჟდები, — ჩაიქირქილა კვიცინაძემ, მხრიდან ფრთხილად მოიცილა ბებიაშვილის მუშტი და განაგრძო:

— შენ ვინ დაგიდგება წინ, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ხარ კლასიკურ ჭიდაობაში, ცხრა პირველთანრიგოსანი, სამი სპორტის ოსტატობის კანდიდატი და ერთი სპორტის ოსტატი გყავს დამარცხებული.

— ბიჭოს, მტრედივით არ მოგოგმანობს ეს გოგო? ვინაა ნეტავი? — წამოიხრიალა უცებ ბებიაშვილმა და ქუჩაში მიმავალ ქალიშვილს აედევნა.

— მიდი, მიდი, გურამ, აგერ არა ვარ? ხელი სტაცე, არ გაუშვა, ნამდვილად ჩვენი საკბილოა, — გაამხნევა კვიცინაძემ მეგობარი.

— ლამაზო, აბა აქეთ მოიხედე, აქეთ, აქეთ, ჩემსკენ, — ბებიაშვილმა ნიჩაბივით ხელი ნიკაპში ამოხდო უცნობ ქალიშვილს.

ქალიშვილი თავხედი ყმაწვილების ძალადობამ დააბნია. ცდილობდა გასხლტომოდა მათ, მაგრამ ვერ მოიხერხებინა, რადგან ბებიაშვილი და კვიცინაძე აქეთ-იქიდან მოხერხებულად ამოსდგომოდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ.

დღისით-მზისით ორი ახალგაზრდა კაცის ასეთმა თვითნებობამ ალბათ ბევრი მოქალაქის გულისწყრომა გამოიწვია, მაგრამ ისინი შორიდან სეირის ყურებას ამჯობინებდნენ.

ამ ამბავს შეესწრო ა. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ა. გამყრელიძე. ბაზარში ყოფილიყო და ახლა შინ მიდიოდა. ხელში საზამთრო ეჭირა.

როგორც კი ქალიშვილის განწირული ხმა შემოესმა, ა. გამყრელიძე მყისვე შემთხვევის ადგილზე გაჩნდა, სათვალე შეისწორა და აღელვებულმა მიმართა თავხედებს:

— ყმაწვილებო, როგორ გეკადრებათ!.. აბა, ეს რას ჰგავს. ორ ჯანმრთელ ახალგაზრდას დღისით, საჯაროდ ხელში ჩაგიგდიათ უმწეო, თქვენსავით ახალგაზრდა ქალიშვილი და გასაქანს არ აძლევთ. აბა, კარგი, გეყოფათ, გაუშვით თავის გზაზე.

— ეს ჯოჯო ვინღაა, კაცო! — შეიცხადა ბებიაშვილმა, — გასწი აქედან, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია.

— თავქარიანია ვიღაცაა. ეტყობა გადაკრულშია და ამ გოგოს გვეცილება, — ვითომ იხუმრა კვიცინაძემ და ა. გამყრელიძეს ხელი ჰკრა.

ა. გამყრელიძემ საზამთრო ქვაფენილზე დადო და ბებიაშვილსა და კვიცინაძეს კვლავ მოსთხოვა თავი დაენებებინათ ქალიშვილისთვის.

— მაშ მაინც არ იშლი შენსას, არა? აჰა, ესეც შენ! — ამის თქმა იყო და გ. ბებიაშვილმა უზარმაზარი მუშტი მოხერხებულად დაჰკრა ა. გამყრელიძეს კისრის არეში. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ ა. გამყრელიძეს მარჯვენა საერთო საძილე არტერია გაუსკდა და იქვე ჩაიკეცა....

— მაშ არ გეშვები ხომ, ესეც შენ! — მიეშველა მეგობარს კვიცინაძე და ქვაფენილზე წაქცეულს წიხლები დაუშინა.

ამ ამბის შემსწრე ლია თულაშვილი (სამხატვრო აკადემიაში მუშაობს) თავგანწირვით მიეჭრა მოძალადეებს, არ შეუშინდა მათს მუშტებს, ბრძოლა გაუმართა და თავისი სხეულით გადაეფარა გრძნობადაკარგულ გამყრელიძეს. მაგრამ გვიანდა იყო: გამყრელიძეს სიცოცხლე აღარ ეწერა.

ბებიაშვილმა და კვიცინაძემ, თავიანთ „ნამოღვაწარს" რომ შეხედეს, ასპარეზი ლაჩრულად მიატოვეს. სულ მალე ისინი მილიციის მუშაკებმა დააკავეს.

სამწუხაროა, რომ ქალიშვილი, ვისი მიზეზითაც ეს ტრაგედია დატრიალდა, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ მეორე ქალიშვილის — ლია თულაშვილის ნამდვილი გმირობა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, სიცოცხლე სასწორზე შეაგდო და მოძალადეებს არ შეუშინდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ა. ხონიაკინას თავმჯდომარეობით გ. ბებიაშვილს 15 წლით, რ. კვიცინაძეს კი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

განაჩენი მკაცრი და სამართლიანია, მაგრამ განა ყველაფერი ამით დამთავრდა? ორი უგნური ახალგაზრდის თავაშვებულმა ქცევამ სიცოცხლეს გამოასალმა შესანიშნავი მოქალაქე და მეცნიერი, კარგი ოჯახის მამა. დამნაშავენი სამართლიანად დაისაჯნენ, მაგრამ ეს ტრაგედია კიდევ ერთხელ გვაფრთხილებს: მთელი საზოგადოებრიობა უნდა ჩაებას დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა.

**ზ. მესენბისერი,**
საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

## შევქმნათ ქართული ფეხბურთის მატიანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გორში...

ქართული ფეხბურთის მატიანის შექმნა, უდავოდ, საჭირო და სასარგებლო საქმეა. ყველამ, ვისაც კი მოეპოვება რაიმე საინტერესო მასალა, ძველი გაზეთი იქნება ეს, სხვადასხვა სახის მოგონებანი თუ ფოტოსურათები, უნდა მოუყაროს მათ თავი საერთო ისტორიის შესაქმნელად.

მე მსურს მკითხველს რამდენიმე სიტყვით მოვუთხრო გორში ფეხბურთის განვითარებაზე. რა თქმა უნდა, ჩემი ნაამბობი არ იქნება სრულყოფილი, ვინაიდან ჩვენს ხელთ არაა დოკუმენტური ცნობები იმის თაობაზე, თუ როდის მიეცა დასაბამი ფეხბურთს შიდა ქართლში, მაგრამ თუ სხვები შეავსებენ ჩემს ნაამბობს, ასე თუ ისე გარკვეულ სურათს მივიღებთ.

ფეხბურთს გორში თამაშობდნენ 1910-ანი წლებიდან, ხოლო 20-ანი წლებისთვის ქალაქში უკვე არსებობდა რეგულარულად მოთამაშე გუნდი. მისი შექმნის თაოსნობა ეკუთვნის თბილისიდან ჩამოსულ ვინმე ნაჭყებიას. მან დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქალაქში ფეხბურთის განვითარების საქმეს. ბევრ გორელს ახლაც კარგად ახსოვს ნაჭყებია, როგორც კარგი ფეხბურთელი, ორგანიზატორი და მწვრთნელი. 1923-27 წლებში მასთან ერთად აქაურ გუნდში თამაშობდნენ გ. გვერდწითელი, უ. ქერიჭაშვილი, კ. ზაბილონი, კ. კოვალენკო, ვ. მაჭავარიანი, ი. ლიაოვსკი, ზ. კიკნაძე, ი. შეფი, კარტავა, განიძე და სხვ.

მომდევნო პერიოდში გორის გუნდს „მკურნალი" ეწოდა. 1927-32 წლებში აქ გამოდიოდნენ გ. მაჭავარიანი, გ. გურგენოვი, ი. გვერდწითელი, რ. კვალიაშვილი, ძმები კ., გ. და შ. ჯიოშვილები, კ. და ვ. კოვალენკოები, ვ. და მ. ღულაძეები, ნ. კავლელაშვილი, ლ. კლარეცკი, კ. ცხოვრებოვი, გ. ვეფხვაძე, კ. ხოდელი, ა. მაჭავარიანი, გ. რაზმაძე და სხვ.

ვეტერანი ფეხბურთელი გ. მაჭავარიანი იგონებს: „გუნდი „მკურნალი" ქალაქის საავადმყოფოს თაოსნობით შეიქმნა და ეს სახელიც ამიტომ დაერქვა. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა გვიყიდეს ფორმა, ბურთები, რაც მაშინ არც ისე იოლი საქმე იყო. სიძნელე ბევრი გვხვდებოდა. ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად ხაშურში, სურამში, კასპში და სხვაგან სატვირთო მატარებლით მივემგზავრებოდით ხოლმე. მტკვრისა და ლიახვის შესართავთან საკუთარი ძალებით მოვაწყვეთ სათამაშო მინდორი, სადაც ახლა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკია".

გორელ ახალგაზრდებს შორის ფეხბურთის დანერგვაში დიდი დამსახურება მიუძღვის ვ. ოქრუაშვილს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1933 წელს ჩამოყალიბდა ახალი გუნდი, რომელსაც „კიმი" ეწოდა. დაგისახელებთ აქ მოთამაშე ფეხბურთელებს: მ. მოციქულაშვილს, ი. ტლაშაძეს, დ. ავბენაშვილს, მ. არავიაშვილს, მ. ინაურს, ლ. მთვარელიძეს, ო. აბუაშვილს, შ. და გ. ჯიოშვილებს, ვ. მახარობლიძეს, დ. ამბოკაძეს, ი. აფციაურს, კ. ხოდელს, ვ. ტურაშვილს, ვ. აივაზიშვილს, ი ხუბულურს, შ. აკოფოვს, ვ. სამადალაშვილს.

— კარგად მახსოვს, — გვიყვება გორის მკვიდრი მ. არავიაშვილი, — ამხანაგურ მატჩში მასპინძლობა გავუწიეთ თბილისის „დინამოს" მეორე გუნდს. მართალია, თამაში წავაგეთ (2:4), მაგრამ იგი საინტერესო გამოდგა და ბევრი მაყურებელიც ჰყავდა.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მ. არავიაშვილს მოაქვს სურათი, რომელზეც აღბეჭდილია გორში 1933 წლის 28 ივნისს ჩატარებული ამ მატჩის ერთ-ერთი ეპიზოდი.

1935-39 წლებში გორელი ფეხბურთელები „გორპოს", ხოლო შემდეგ „დინამოს" სახელით თამაშობდა. მაშინდელ ფეხბურთელთაგან აღვნიშნავთ რ. კვალიაშვილს, მ. ინაურს, მ. ანანიაშვილს, მ. სუთიაშვილს, ს. ლომაიას, კ., ვ. და გ. კოვალენკოებს, ი., ა. და ო. ხუბულურებს, კ. მღებროვს, დ. ცერცვაძეს, ვ. კირკიტაძეს, ს. შოთაშვილს, გ. ფატარიძეს, შ. მოციქულაშვილს, გ. ედიშერაშვილს, ვ. იასამანოვს, ვ. ხვადაგაძეს, კ. ხოდელს, ი. ტლაშაძეს, ტ. კასრაძეს, ა. დვალს, დ. თევზარაშვილს, ვ. სურამელს და სხვ.

დიდი სამამულო ომის დაწყებამდე გორის გუნდი რესპუბლიკის პირველობაზე თამაშობდა. მის რაგებში იყვნენ ახალი თაობის ფეხბურთელები. ქალაქის ნაკრებში მაშინ თამაშობდნენ ს. შოთაშვილი, თ. ოსიტაშვილი, ი. შავლიაშვილი, მ. ანანიაშვილი, ვ. ბიბილური, კ. ყანჩაველი, ვ. გრებლოვი, მ. ყაფიანი, ვ. ბეთლემიძე, ო. ქარუმიძე, ვ. კარპენკო, ვ. არჩუაძე, გ. რონინიშვილი, ვ. აბაიძე, ვ. გასიტაშვილი, ს. წერეთელი, ო. გაბისონია, შ. ქელეხსაშვილი, გ. ბალანჩივაძე, თ. თათარაშვილი, მ. აჩუსერიძე და სხვ.

ახლა, როგორც იცით, გორის გუნდი საკავშირო შეჯიბრების მონაწილეა: „დილა" თამაშობს „ა" კლასის II ლიგაში და ურიგო მაჩვენებლები არა აქვს.

**გ. გოზალიშვილი,**
გორის მე-8 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში.

## [illegible]

**ლესელიძე**

პანსიონატ „სპორტის" საფეხბურთო მინდორზე შედგა „განთიადისა" და ლესელიძის ვეტერანთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 0:0. ორივე კარში დაინიშნა პენალტების სერია, რომელმაც წარმატება განთიადელებს მოუტანა — 5:3.

**დ. თორაძე.**

# მისაბაძი საქმე

8 ივლისს მესტიაში საქვეყნოდ ცნობილი მთამსვლელის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მიხეილ ხერგიანის ძეგლი გაიხსნა.

საქართველოს საზოგადოება „ცოდნამ" და ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა სწორედ ამ დღეს მოაწყვეს გასვლითი სესია, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

სესიის მუშაობის ძირითადი თემა იყო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის თავისებურება სოფლად. ამასთან, დიდი ყურადღება დაეთმო სპორტის განვითარებას სსრ კავშირში. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტმა ვ. ელაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის მნიშვნელობას, პარტიისა და მთავრობის ზრუნვას საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარებისთვის.

მოხსენებით გამოვიდა დ. მესხი, რომელმაც ილაპარაკა ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონებზე.

სესიაზე საგანგებოდ აღინიშნა სვანი სპორტსმენების მიღწევები.

მსმენელთა უმეტესობა ახალგაზრდობა იყო. მათ უამრავი შეკითხვა მისცეს ლექტორებს.

კარგი იქნება, ასეთი სესიები სხვა რაიონებშიც ხშირად მოეწყოს.

(ჩვენი სპეც. კორ.).

მესტია.

## [illegible]

რიგა. 11-14 ივლისი. ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირი — „ბალტიის თასი".

უმჩატესი წონა. 1. ა. გნატოვი (სსრ კავშირი) — 335 კგ, 2. ი. მაკკევიჩი — 297,5, 3. ა. ლიპა (ორივე — პოლონეთი) — 290.

მჩატე. 1. გ. ჩეტინი (სსრ კავშირი) — 372,5, 2. გ. ხეგვერი (გფრ) — 290, 3. ვ. ანიკინი (სსრ კავშირი) — 257,5.

ქვემსუბუქი. 1. ი. გოლუბცოვი (სსრ კავშირი) — 382,5, 2. ვ. კასილიშინი — 355, 3. ე. გჟევინსკი (ორივე — პოლონეთი) — 342,5.

მსუბუქი. 1. პ. კოროლი (სსრ კავშირი) — 447,5, 2. ხ. რუმი (რუმინეთი) — 400, 3. ფ. ბენედეკი (უნგრეთი) — 390.

ქვესაშუალო. 1. ტ. ბიორნსენი (ნორვეგია) — 440, 2. უ. კლიხე (გფრ) — 430, 3. ჰ. დერნერი (გფრ) — 420.

საშუალო. 1. ვ. შარიი (სსრ კავშირი) — 525, 2. ტ. ავიჟენი (პოლონეთი) — 465, 3. ლ. როდე (გფრ) — 455.

ქვემძიმე. 1. ვ. კოლოტოვი (სსრ კავშირი) — 552,5, 2. ხ. სტენპაკი (პოლონეთი) — 480, 3. პ. პეტსოლდი (გდრ) — 467,5.

მძიმე. 1. ხ. საარელაინენი (ფინეთი) — 520, 2. ლ. ბაინჰოფერი (გფრ) — 512,5, 3. ე. კერანი (ნორვეგია) — 490.

ზემძიმე. 1. ხ. ბატიშჩევი (სსრ კავშირი) — 600, 2. გ. ვუ (გფრ) — 490, 3. რ. სანდსტრიომი (შვეცია) — 455.

გუნდური (საპრიზო ადგილები): 1. სსრ კავშირი — 49 ქულა, 2. პოლონეთი — 37, 3. გფრ — 32.

• • •

სურათზე: „ბალტიის თასზე" უმჩატეს წონაში გამარჯვებული ა. გნატოვი (ლვოვი).

ვ. ნიკოლაევისა და ი. ქიტლუხინის ფოტო (საკდესი).




# ირგვლივ

ბენი ბილიკის ცისფრად შეღებვამ წამში 0,6 მეტრით გაზარდა.

ფეხბურთის მეკარის ფორმის ფერის შეცვლამ გარკვეული გავლენა მოახდინა ბურთის კარში დარტყმის სიზუსტეზე. შებინდებისას ფერების ცვალებადობასთან დაკავშირებით (პურკინიეს ფენომენი) დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენთა და მსაჯთა ფორმის შერჩევას. ამავე დროს, აუცილებელია არა მარტო სათანადო სიძლიერის ელექტროგანათების შერჩევა, არამედ მისი ზუსტად საჭირო მომენტში ჩართვა, ვინაიდან სინათლის კლებასთან ერთად მკვეთრად კლებულობს სივრცეში ორიენტაცია და თვალზომა.

ნაკრები გუნდების მოჭიდავეებს ვარჯიში და შეჯიბრება ძირითადად პოროლონის ლურჯ და წითელ ლეიბებზე უხდებათ. ეს ფერები კი ყველაზე მომქანცველ ფერებად ითვლება. ამიტომ ამ ხალიჩებზე ხანგრძლივი ვარჯიში უარყოფით გავლენას ახდენს მოჭიდავეთა შრომისუნარიანობაზე და მათს საერთო განწყობაზე.

სპორტსმენთა ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით შეიძლება ამა თუ იმ ფერის ხალიჩებზე ჭიდაობისას გარკვეული პრაქტიკული რეკომენდაციების შერჩევა შრომისუნარიანობის, განწყობის, ფსიქოლოგიური და, ზოგიერთ შემთხვევაში, ტაქტიკური ზემოქმედებისთვისაც კი.

იქ, სადაც ფერის შეცვლა არ შეიძლება (ტანვარჯიშული და საჭიდაო ხალიჩები, სპორტული მოედნები და სხვ.), უნდა შევარჩიოთ სხვა დამატებითი საშუალებები ფერის ზემოქმედების შესანელებლად ან გასაძლიერებლად. ასეთი საშუალებებია, მაგალითად, სავარჯიშო ადგილების ჭერის, იატაკის, კედლების შესაფერის ფერებად შეღებვა, ელექტროგანათების რეგულირება, სავარჯიშო ადგილების დამატებითი დეტალებით გაფორმება და სხვ.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ფერადი მხედველობის დარღვევის პროცენტი ქალებსა და კაცებში სხვადასხვანაირია. ფერადი მხედველობის დაქვეითება დამახასიათებელია ყოველი მეთორმეტე კაცისა და ყოველი მეორასე ქალისთვის.

ყოველივე ზემოთქმულის ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება შეგვაძლებინებს საჭირო მომენტში სპორტსმენს მივცეთ დამატებითი გამღიზიანებელი ან, პირიქით, დამაწყნარებელი საშუალება.

რა თქმა უნდა, ფიზიკურ, ტექნიკურ, ტაქტიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას ვერავითარი ფერი ვერ შეცვლის, მაგრამ მას შეუძლია გარკვეული როლი შეასრულოს სპორტსმენისთვის ოპტიმალური პირობების შესაქმნელად წვრთნის, შეჯიბრებისა და დასვენების დროს. ეს კი ბევრ რამეს ნიშნავს.

**გ. ყირმელაშვილი,**
დოცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

### კონვერტის გახსნისთანავე

17 ივლისს დამთავრდა სპასკი — ფიშერის მატჩის მესამე პარტია, რომელიც წინადღით გადაიდო მსოფლიო ჩემპიონისთვის მძიმე პოზიციაში. გამოფენათა სასახლის მთავარ დარბაზში, სადაც გადადებული პარტიის თამაში დაინიშნა, მეტოქეები დაფას მიუსხდნენ. მთავარმა არბიტრმა ლ. შმიდმა (გფრ) კონვერტი გახსნა და დაფაზე რ. ფიშერის 41-ე ... კd3+ სვლა გააკეთა. ბ. სპასკი მაშინვე დანებდა. შემდგომ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა.

ამ ორი დღის მანძილზე მოჭადრაკეები და სპეციალისტები გულდასმით აანალიზებდნენ ამერიკელი დიდოსტატის მე-11 სვლას. ზოგი ამბობდა, რომ სპასკის მხედარი არ უნდა აეყვანა, მაგრამ ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ფიშერმა მთელი პარტია დიდი ძალით, ინიციატივით ითამაშა.

მსოფლიო პირველობის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მაყურებელთა ხმაურის გამო პარტია იზოლირებულ ოთახში გამართულიყო. 16 ივლისს თამაში მცირე დარბაზში თვით მთავარმა მსაჯმა შმიდმა გადაიტანა. სპასკიმ მხოლოდ ამ ერთ პარტიაზე მისცა თანხმობა. ორშაბათს მატჩის საპელაციო კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ მეოთხე და მომდევნო პარტიები კვლავ მთავარ დარბაზში შედგეს.

### ფინელები კმაყოფილი არიან

ჰელსინკი, 17 ივლისი. ფინეთის პრესა არ მალავს კმაყოფილებას თავისი ქვეყნისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრის შედეგის (1:1) გამო.

გაზეთი „სუომენ სოსიალიდემოკრაატი" წერს, რომ ფრე ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთან ფინეთის ფეხბურთის მომავალს იმედიან პერსპექტივას უსახავს.

ბევრი მიმომხილველი ქალაქ ვაასაში გამართული ამ შეხვედრის შედეგს სრულ მოულოდნელობად მიიჩნევს. თავიანთ გუნდში ისინი აღნიშნავენ თავდამსხმელ რისანენისა და მცველ რაიანტიეს, სტუმართა შორის კი მეკარე ბანიკოვისა და მცველ ხურცილავას თამაშს.

მატჩს დაახლოებით 6 ათასი მაყურებელი დაესწრო.

## ახალი ამბები

● ჩებოქსარი, 16 ივლისი. აქ უჩვეულო შეჯიბრება ჩატარდა: 136 სპორტსმენმა სსრ კავშირის პირველობა გაითამაშა სამილიციო მრავალჭიდში. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მოტოციკლის მართვის ტექნიკაში, პირადი იარაღით სროლაში, წინაღობათა ზოლის გადალახვაში, ადგილზე ორიენტირებასა და ცურვაში. ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა პერმელი გ. ბალტაევი, ხოლო გუნდურ ჩათვლაში რსფსრ-ს ნაკრებმა გაიმარჯვა.

● პრაღა, 17 ივლისი. მრავალდღიან საერთაშორისო ველორბოლაში — „ბოჰემიის ტურში" ყველას აჯობა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა მ. გრაზდირამ, რომელმაც ექვსი ეტაპის (დაახლოებით 800 კმ) გავლას 18 საათი, 47 წუთი და 32 წამი მოანდომა. საბჭოთა მრბოლელთაგან საუკეთესომ — კიშინიოველმა ი. პოლუპანოვმა 21-ე ადგილი დაიკავა (19:02.36).

● ბუქარესტი, 17 ივლისი. „დუნაის თასზე" საერთაშორისო მოტოკროსის ბოლო, მეთოთხმეტე ეტაპის წინ ლიდერობას საბჭოთა სპორტსმენები ინარჩუნებენ (58 ქულა). მესამე ეტაპი ბრაშოვის მახლობლად ჩატარდა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებისათვის იღბლიანი გამოდგა: მათ მოიპოვეს გუნდური გამარჯვება და დაიკავეს ორი პირადი პირველი ადგილი: ა. ბაბოროვსკი და ო. ტომანი. III ადგილზეა კიეველი ვ. კრასნოშჩოკოვი.

## რაგბი 72

მოსკოვი. „ავტომობილისტის" სტადიონი. 16 ივლისი.

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 7:22 (3:10).

„სპარტაკი": კუჩეროვი, რიაზანოვი, არხიპოვი, ფიოდოროვი, ნეუუტა, ვორობიოვი, უგლანკინი, გრიგენოვი, ერშოვი, იუნისოვი, კოჩეტკოვი, პანტიუხინი, მელნიჩენკო, სერგეევი, ბოლდირევი.

„ლოკომოტივი": ნაცვლიშვილი, ფეტვიაშვილი, ცხვედიანი, სანებლიძე, რეხვიაშვილი, კემულარია, თემურ რუხაძე (დოლიძე), ზენდიაშვილი, კილასონია, აბაშიძე (კაპანაძე), გეგეშიძე, ფურცელაძე, მირონოვი, თენგიზ რუხაძე, გიორგაძე.

მსაჯი ვ. ტრახიმენკო (კიევი).

კვირას მოსკოვში თერმომეტრი პლუს 34 გრადუსს უჩვენებდა. მატჩი შუადღისას დაიწყო. უხეირო, ოღროჩოღრო მინდორზე ბალახის ნასახს ვერ ნახავდით. ყოველივე ამან გუნდების თამაშის კლასი ერთგვარად დასცა, მაგრამ ამგვარ სარბიელთან მასპინძლები უფრო შეგუებული აღმოჩნდნენ და აქტსაიდერმა, რომელსაც განვლილ ხუთ ტურში ქულაც კი არ ჰქონდა, ლიდერთან თავის გამოჩენა მოინდომა.

რკინიგზელებმა თამაში ნელ ტემპში დაიწყეს. გუნდის ამოცანა ნათელი იყო: შესჩვეოდა მინდორს, პაპანაქება სიცხეს, მასპინძლებისთვის თავს საკუთარი ტაქტიკა მოეხვია და მოგებისთვის შემდეგ ეზრუნა.

„სპარტაკმა" თამაშის სადავეების ხელში ჩაგდება სწრაფი ტემპით სცადა და დასაწყისში მიზანს მიაღწია კიდეც. მისი ერთ-ერთი იერიშის დროს ცხვედიანი დაჯარიმდა, რაც სერგეევმა ზუსტად გამოიყენა — 3:0. პირველმა წარმატებამ მოსკოველებს ფრთები შეასხა. მათ თბილისელთა ჩათვლის მოედანს ზედიზედ რამდენიმეჯერ შეუტიეს და ტაიმის ნახევარზე მეტ ხანს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ.

სტუმრებმა „სპარტაკის" ყველა იერიში დინჯად მოიგერიეს და უპირატესობას თანდათან დაეუფლნენ, 24-ე წუთზე კიდეც დაწინაურდნენ, როცა შერკინებიდან ბურთი ზენდიაშვილმა მიიღო და „სპარტაკის" ჩათვლის მოედანზე მოხერხებულად შეიჭრა — 4:3.

ჩემპიონატის ლიდერმა მალე მორიგი წარმატება იზეიმა: მირონოვმა მოსკოველთა მიერ გადაწოდებული ბურთი მინდვრის შუაგულში ჩაჭრა. სწრაფ რეგბისტს მასპინძლებმა გზა დროით ვერ გადაუკეტეს. დებიუტანტმა გიორგაძემ რეალიზაცია კარგად გამოიყენა.

შესვენების შემდეგ „სპარტაკმა" მატჩის გადასარჩენად უკანასკნელ ხერხს მიმართა: მინდორზე „მეთექვსმეტე მოთამაშე" — უხეშობა გამოუშვა. მაგრამ ამას მისთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანია — 50-ე წუთზე მელნიჩენკო დაჯარიმდა. გიორგაძეს ქულებს შუა ბურთის გატარება არ გასჭირვებია. კიდევ 5 წუთის შემდეგ კი გეგეშიძე — თენგიზ რუხაძე — გეგეშიძის კომბინაცია მოსკოველთა ჩათვლის მოედნის მორიგი აღებით დამთავრდა. ანგარიში 17:3 გახდა, რასაც რეალიზაციის ზუსტად გამოყენებით გიორგაძემ კიდევ 2 ქულა დაუმატა.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

## „ლოკომოტივი" მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს

მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. რკინიგზელებს პირველი წრის ბოლო ტურში შინ ძნელი მატჩი ელით სსრ კავშირის ექს-ჩემპიონთან — მოსკოვის სპორტკლუბ „ფილისთან". ამიტომ მათ ძალების შემონახვის მიზნით ორი მოთამაშე შეცვალეს, მაგრამ ინიციატივა არ დაუთმიათ. შეხვედრის 63-ე წუთზე მათ მაყურებელს შარაოს გაშლის შესანიშნავი ნიმუში უჩვენეს და ბურთის გატანასაც შეძლებდნენ, სპარტაკელებს უხეშობისთვის რომ არ მიემართათ. ეს უხეშობა მასპინძლებს ჯარიმად დაუჯდათ და ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა თენგიზ რუხაძემ კარგად გამოიყენა.

თბილისელებმა თამაშის დასასრულს ყურადღება მოადუნეს და ეპიფანოვი გაექცათ — 7:22.

პირველი წრის ლიდერის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა. თუ „ფილისთან" გაიმარჯვებენ, თბილისელები მოწინავე პოზიციებს შეინარჩუნებენ. სხვა შემთხვევაში დაწინაურება შეუძლიათ თვით „ფილის" ან სსრ კავშირის ჩემპიონს — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს, რომელიც კიევში ადგილობრივ „სპარტაკს" ეთამაშება.

თ. ჯაფარიძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

## მძლეოსანთა სტარტები

ბრატისლავა, 16 ივლისი. ი. პლახიმ აქ გამართულ შეჯიბრებაში 800 მ 1 წუთსა და 45,6 წამში გაირბინა. ჩეხოსლოვაკიის რეკორდსმენის ეს შედეგი მეორეა წლეულს ევროპაში და ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში.

ლონდონი, 17 ივლისი. ადგილობრივ „კრისტალ-პალასის" სტადიონზე დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატში მოასპარეზე ლონდონელმა სტუდენტმა, 22 წლის დ. ბედფორდმა მეორე სტაიერული დისტანციაც მოიგო. 5000 მეტრზე რბენაში ევროპის რეკორდის დამყარების შემდეგ დღე-ღამეც არ იყო გასული, როცა ბედფორდმა, მსოფლიოში პირველმა წლევანდელ ოლიმპიურ



სეზონში, 28 წუთზე ნაკლები დრო მოანდომა 10 კილომეტრის გარბენას — 27.52,8. ისიც უნდა ითქვას, რომ ბედფორდი ფაქტიურად ეულად მირბოდა და სერიოზული მეტოქეობა ვერავინ გაუწია. მაგალითად, II ადგილზე გასული ლ. სტიუარტის დროა 28.38,8.

ბედფორდმა განაცხადა, რომ მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში ორივე სტაიერულ დისტანციაზე გამოვა.

საინტერესო გამოდგა 400 მეტრზე თარჯრბენი. ამ სახეობაში მსოფლიო რეკორდსმენმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა დ. ჰემერიმ მწვავე ბრძოლა გადაიტანა უგანდელ ჯ. აკიი-ბუასთან. გაიმარჯვა ჰემერიმ, მაგრამ ორივე მეტოქეს ერთნაირი შედეგი (49,7) ჰქონდა.

ევროპის ჩემპიონმა დ. ჯენკინსმა ყველას აჯობა 400 მეტრზე რბენაში — 45,4.

ძალიან სწრაფი გამოდგა 1500 მეტრზე გარბენი: დიდი ბრიტანეთის რეკორდითა და წლეულს ევროპაში მეორე შედეგით გაიმარჯვა პ. სტიუარტმა — 3.38,2. მას კვალდაკვალ მიჰყვნენ რ. სმიდლი (3.38,5) და კ. კირკბრაიდი (3.38,7).

დიდი ბრიტანეთის რეკორდი ჭოკით ხტომაშიც დამყარდა: მ. ბულმა 521 სმ სიმაღლე გადალახა. სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა ა. ლერუილმა — 815 სმ (მეორე შედეგი წლეულს ევროპაში). II ადგილი დაიკავა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა ლ. დევისმა — 774 სმ.

• • •

სურათზე: დ. ბედფორდი „კრისტალ-პალასის" სტადიონზე ასპარეზობის დროს.

● ●

ბელგრადი, 17 ივლისი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონმა ვერა ნიკოლიჩმა (იუგოსლავია) 800 მ 2 წუთსა და 2,7 წამში გაირბინა. გამარჯვებულს 0,4 წამით ჩამორჩა შეილა კერი (დიდი ბრიტანეთი). 400 მეტრზე რბენაში გაიმარჯვეს: გდრ-ის წარმომადგენელმა რიტა კიუნემ (53,7) და მასპინძელმა დუშან ჟუჟანმა (45,9 — იუგოსლავიის რეკორდი).

100 მეტრზე რბენის ფინიშთან პირველი მიიჭრა ეზელი კროუფორდი (ტრინიდადი და ტობაგო) — 10,2.

დრეზდენი, 17 ივლისი. აქ გამართულ შეჯიბრებაში 18 წლის სილვია ჩივასმა 100 მეტრზე რბენაში კუბის რეკორდი დაამყარა — 11,1.

პრაღა, 17 ივლისი. 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ყველას აჯობა ახალგაზრდა მ. კრელმა (გდრ) — 4:19.11,6. ამ ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების ტრასა პოდებრადისა და პრაღას შორის გადიოდა. შეჯიბრებაში ექვსი ქვეყნის 58 მძლეოსანი მონაწილეობდა.

ტრჟინეცი (ჩეხოსლოვაკია), 17 ივლისი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონმა ლ. დანეკმა (ჩეხოსლოვაკია) 62,74 მეტრზე ტყორცნა ბადრო, ხოლო მისმა თანამემამულე ი. ბრაბეცმა 19,68 მეტრზე ჰკრა ბირთვი.

სიენა (იტალია), 17 ივლისი. აქ მოწყობილი საერთაშორისო ტურნირის შედეგებიდან შემდეგი მაჩვენებლები უნდა აღინიშნოს: 800 მ — მ. უინცინრიდი (აშშ) — 1.46,9, 100 მეტრზე თარჯრბენი — პ. კილბორნი (ავსტრალია) — 12,9, ბადრო — რ. ბრუხი (შვეცია) — 63,64 მ.

● ●



სურათზე: 400 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდის (51,0) „თანაავტორი", გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური იმედი მონიკა ცერტი შეჯიბრების დროს.

## ნ ა ყ ო ფ ი ე რ ა დ

გასულ თვეში პ. კობახიძის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის საჭადრაკო კლუბმა საინტერესო ღონისძიებები გამართა. ჯერ კლუბის წევრები ა. ურუშაძე, ი. გოლეთიანი, ა. პოლიაკოვი, გ. ბარბაქაძე, ს. რუსია და ი. ბუჩუაძე შეხვდნენ მოჭადრაკე ქალთა ნაკრებს — თ. ხუგაშვილს, თ. კაჭარავას, ც. კახაბრიშვილს, ნ. ჩიქობავას, მ. დალაქიშვილსა და მ. ლოლიშვილს. სტუმართა ხელმძღვანელი იყო რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი ქ. გოგიავა. პირველ წრეში ქალთა ნაკრებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა — 5:1, მეორე წრეში კი კლუბის წევრებმა იყოჩაღეს—3,5:1,5. თავიანთ დაფებზე წარმატებით ითამაშეს კლუბის წევრმა ბუჩუაძემ და ნაკრების წარმომადგენელმა დალაქიშვილმა. ამ გუნდების პირველი შეხვედრა, რომელიც ერთ წრედ მოეწყო 1969 წელს, საყაიმო ანგარიშით (4:4) დამთავრდა.

შემდეგ ამავე სახლში მოეწყო ჭადრაკისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენებით გამოვიდა მოჭადრაკეთა საბჭოს თავმჯდომარე ი. თოდუა. შემდეგ გაიმართა საჭადრაკო ვიქტორინა, რომელიც ძირითადად ეხებოდა მსოფლიო ჩემპიონობაზე ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირისა და ბ. სპასკი — რ. ფიშერის მატჩებს. დაბოლოს, სპორტის ოსტატმა ა. იზვოზჩიკოვმა ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი 12 დაფაზე. მან წააგო პირველთანრიგოსან ს. რუსიასთან, ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის თანამშრომელ მანანა დალაქიშვილთან, ხოლო დანარჩენი პარტიები მოიგო.

ი. თოდრია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

6 ИНДЕКС 66448 „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 02598